

სოლიდარული თავდებობის ხელშეკრულება

ხელშეკრულების დადების თარიღი:

ხელშეკრულების ნომერი:

ერთი მხრივ „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“ და მეორე მხრივ „კონტრაპენტი“ ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

0. რეკვიზიტები:

<p>0.1 „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია“ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი“, საიდენტიფიკაციო კოდი - 405072040 მისამართი - ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N154 , ტელეფონი: (032) 2555335 საინფორმაციო გვერდი:, ელ-ფოსტა: www.microfin.ge / info@microfin.ge წარმომადგენლი:</p>
<p>0.2 “თავდები“ სახელი, გვარი: ----- პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი: ----- რეგისტრაციის/იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ----- საკონტაქტო ტელეფონი / ელ. ფოსტა:</p>
<p>0.3 I „მსესხებელი“, “კლიენტი“ დასახელება/სახელი, გვარი: ----- პირადი/საიდენტიფიკაციო ნომერი: ----- რეგისტრაციის/იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: -----საკონტაქტო ტელეფონი</p>
<p>0.4 თავდებობით უზრუნველყოფილი საკრედიტო ხელშეკრულება საკრედიტო (სესხის) ხელშეკრულების თარიღი და ნომერი: საკრედიტო ხელშეკრულების პირობები: სესხის თანხა: სესხის მაქსიმალური ვადა: სესხის სარგებელი (პროცენტი): პირგასამტეხლო:</p>
<p>0.5 სოლიდარული ვალდებულების (თავდებობის) თანხის მაქსიმალური ოდენობა:</p>

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ამ ხელშეკრულების საგანია თავდების ვალდებულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 895-ე მუხლის შესაბამისად, ამავე ხელშეკრულების 0.5 პუნქტით გათვალისწინებული თანხის ფარგლებში სოლიდარულად და სრულად იყოს პასუხისმგებელი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წინაშე, კლიენტის მიერ საკრედიტო ხელშეკრულებ(ებ)ის საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებების შესრულებაზე

1.2 ამ ხელშეკრულების ხელმოწერით თავდები ადასტურებს, რომ ის დეტალურად არის ინფორმირებული ძირითადი და დამატებითი ხელშეკრულებებით კლიენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესახებ, იცნობს ზემოხსენებული ხელშეკრულებების ტექსტებს და სრულად აცნობიერებს ვალდებულებებს, რომლებსაც ის კისრულობს ამ ხელშეკრულების საფუძველზე.

1.3 თავდების პასუხისმგებლობის მაქსიმალური თანხა განისაზღვრება ამ ხელშეკრულების 0.5 პუნქტით და მოიცავს ასევე მის ექვივალენტს ნებისმიერ ვალუტაში.

1.4 თავდებობით უზრუნველყოფილია:
1.4.1 ძირითადი ხელშეკრულებების, რომელიმე ან/და რამდენიმე მათგანის ფარგლებში გაფორმებული ნებისმიერი დოკუმენტის (მათ შორის დამატებითი ხელშეკრულებ(ებ)ის) და ამ თავდებობის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები;

1.4.2 ამ ხელშეკრულების 1.4.1 ქვეპუნქტში აღწერილი რომელიმე, რამდენიმე ან ყველა ვალდებულების დროულად და მიკროსაფინანსო ორგანიზაცია _____ კონტრაპენტი: _____

ჯეროვნად შეუსრულებლობით ან/და არასათანადოდ (არაჯეროვნად, დაგვიანებით, არასრულად) შესრულებით გამოწვეული ზიანისა და თავდებისგან თანხის მიღებისთვის გაწეული ხარჯების ანაზღაურება; 1.4.3 ნებისმიერი ვალდებულება, რომელიც დაკავშირებული იქნება კლიენტის მიერ ფაქტობრივად მიღებულ ან/და გამოყენებულ ნებისმიერ საკრედიტო პროდუქტთან, თანხასთან ან/და სარგებელთან ან კლიენტის ან/და თავდების ნებისმიერ მოვალეობასთან იმ შემთხვევაშიც, თუ შეწყდება ძირითადი ხელშეკრულებების, რომელიმე მათგანის ან/და ძირითადი ხელშეკრულებების, რომელიმე ან/და რამდენიმე მათგანის ფარგლებში გაფორმებული რომელიმე, რამდენიმე ან ყველა დოკუმენტის მოქმედება ნებისმიერი ფორმით/გზით (მათ შორის ბათილად ცნობის შემთხვევაშიც).

2. თავდების ვალდებულებების შესრულება

2.1 კლიენტის მიერ ძირითადი ან/და დამატებითი ხელშეკრულებით ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად ან/და ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება ექნება თავდებს მოსთხოვოს კლიენტის მიერ გადასახდელი თანხის გადახდა.

2.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მოთხოვნის მიღებისთანავე თავდები ვალდებული იქნება გადაუხადოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მოთხოვნაში მითითებული თანხა.

2.3 ამ ხელშეკრულებით თავდების მიერ ნაკისრი რომელიმე ვალდებულების დროულად შეუსრულებლობის შემთხვევაში:

2.3.1 თავდები ვალდებული იქნება გადაუხადოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას პირგასამტეხლო მსესხებელსა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციას შორის გაფორმებული სესხის ხელშეკრულების 8.4.1. პუნქტით გათვალისწინებული ვადაგადაცილების პირგასამტეხლოს გადახდის წესის შესაბამისად. (თუ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მოითხოვს პირგასამტეხლოს გადახდას);

2.3.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება ექნება მოთხოვნა დაიკმაყოფილოს თავდების ნებისმიერი ქონების/აქტივის რეალიზაციის გზით, რაც არ ზღუდავს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას, რომ მოთხოვნა ასევე დაიკმაყოფილოს კლიენტის ნებისმიერი აქტივის რეალიზაციის გზით.

2.4 თავდები თანახმაა დაფაროს კლიენტის დავალიანება ყოველგვარი წინაპირობის გარეშე, მათ შორის იმის მიუხედავად, ჰქონდა თუ არა მიკროსაფინანსო ორგანიზაციას იძულებითი აღსრულების მცდელობა კლიენტის მიმართ.

2.5 თავდების მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერა ნიშნავს მის აქცეპტს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის შეტყობინებაზე.

2.6 თავდები ვალდებული იქნება, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მოთხოვნის მიღებიდან არაუგვიანეს 2 (ორი) კალენდარული დღისა უზრუნველყოს ხელმოწერა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის დაუყოვნებლივ გადაცემა ნებისმიერი საბუთისა (ხელშეკრულების, განცხადების, შეთანხმების და სხვა), რომელიც საჭირო იქნება მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის ამ ხელშეკრულებით მინიჭებული უფლებ(ებ)ის სრულფასოვანი განხორციელებისთვის.

2.7 ამ ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში თავდები უარს აცხადებს მის უფლებაზე:

2.7.1 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას წაუყენოს კლიენტის (მოვალის) კუთვნილი შესაგებლები (ასეთების არსებობის შემთხვევაში);

2.7.2 უარი თქვას მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დაკმაყოფილებაზე იმ შემთხვევაშიც კი, თუ კლიენტს (მოვალეს) უფლება ექნება სადავო გადახადოს ძირითადი ხელშეკრულება, რომელიმე დამატებითი ხელშეკრულება ან ამ დოკუმენტების საფუძველზე წარმოშობილი ვალდებულებები;

2.7.3 მოითხოვოს თავდებობისგან განთავისუფლება ნებისმიერ შემთხვევაში, მათ შორის, თუ:

2.7.3.1 არსებითად გაუარესდება კლიენტის (მოვალის) ქონებრივი მდგომარეობა;

2.7.3.2 კლიენტისგან (მოვალისგან) გადახდევინება არსებითად გამწვანდება საცხოვრებელი ადგილის ან ადგილსამყოფელის შეცვლის გამო;

2.7.3.3 შეიცვლება ძირითადი ან/და დამატებითი ხელშეკრულების მხარე;

2.7.3.4 ძირითადი ან/და დამატებითი ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ მოთხოვნებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია გადასცემს მესამე პირს.

2.8 თავდებობა შეწყდება მხოლოდ ამ ხელშეკრულებით უზრუნველყოფილი ვალდებულებების შეწყვეტის შემდეგ ან მხარეთა შეთანხმებით.

2.9 მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია ცალმხრივად განახორციელოს ხელშეკრულებაში მოცემული პირობების ცვლილება. საპროცენტო განაკვეთის და/ან ხელშეკრულების სხვა პირობების ცვლილების შემთხვევაში თავდების ინფორმირება მოხდება წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტით ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინებით ცვლილების განხორციელებამდე ერთი თვით ადრე.

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია _____ კონტრაქტენტი: _____

2.10 თავდებს უფლება აქვს წარადგინოს პრეტენზია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის პრეტენზიების სამსახურში ზეპირი, წერილობითი, სტანდარტული წერილობითი ან ელექტრონული ფორმით.

3. ინფორმაცია თავდების შესახებ

3.1 თავდები აცხადებს, რომ მის მიერ ამ ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტი მიკროსაფინანსო ორგანიზაციისთვის მიწოდებული ინფორმაცია (მათ შორის სამეწარმეო საქმიანობისა და მისი, როგორც გადასახადის გადამხდელის სტატუსის შესახებ) არის უტყუარი, ზუსტი, სრული და ამომწურავი. თავდები ვალდებულია დაუყოვნებლივ აცნობოს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მისი საიდენტიფიკაციო მონაცემების, საკონტაქტო ინფორმაციის, სტატუსის ან საქმიანობის სახის ნებისმიერი ცვლილების შესახებ.

3.2 მიკროსაფინანსო ორგანიზაციას უფლება აქვს სს „საკრედიტო საინფორმაციო ბიურო კრედიტ ინფო საქართველოსთან“-ს (შემდგომში “ბიუროსთან”) დადებული ხელშეკრულების შესაბამისად:

3.2.1 თავდების შესახებ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ხელთ არსებული როგორც პოზიტიური, ისე ნეგატიური, საკრედიტო/არასაკრედიტო და სხვა რელევანტური ინფორმაცია შეაგროვოს/გადასცეს ბიუროს, რის საფუძველზეც თავდები აღირიცხება ბიუროს მონაცემთა ბაზაში. წინამდებარე ინფორმაცია მუშავდება თავდების გადამხდელუნარიანობის ანალიზის მიზნისათვის და ხელმისაწვდომი იქნება საკრედიტო საინფორმაციო ბიუროში ჩართული მომხმარებლებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით (სესხის გამცემი ორგანიზაციები და ინფორმაციის მიმღები/მიმწოდებელი პირები);

3.2.2 გაეცნოს ბიუროს მონაცემთა ბაზაში აღრიცხულ ინფორმაციას თავდების შესახებ (მათ შორის, თავდების საკრედიტო ისტორიას).

3.2.3. თავდების მოთხოვნის შემთხვევაში, მიკროსაფინანსო ორგანიზაცია ვალდებულია გაასწოროს, განახლოს, დაამატოს, დაბლოკოს, წაშალოს ან გაანადგუროს მონაცემები, თუ ისინი არასრულია, არაზუსტია, არ არის განახლებული, ან თუ მათი შეგროვება და დამუშავება განხორციელდა კანონის საწინააღმდეგოდ. მონაცემთა განადგურებისა ან/და წაშლის დათქმა არ ვრცელდება ისეთ შემთხვევებზე, როდესაც ამ მონაცემების დამუშავება ჯერ კიდევ აუცილებელია თავდებსა და კრედიტორს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობის მიზნებისთვის.

3.3 თავდები მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ანიჭებს უპირობო უფლებას და თანხმობას გადაამოწმოს და მიიღოს მესამე პირებისაგან იმ ტიპის ინფორმაცია თავდების პერსონალური მონაცემების შესახებ რაც აუცილებელია წინამდებარე ხელშეკრულების მიზნებიდან გამომდინარე კერძოდ:

3.3.1 მოითხოვოს და მიიღოს თავდების შესახებ ნებისმიერ პირთან თუ ადმინისტრაციულ ორგანოში (მათ შორის სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ან/და მსგავსი უფლებამოსილების მქონე სხვა ორგანოს/პირის მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში ან/და საგადასახადო ორგანო(ებ)თან) არსებული ნებისმიერი სახის პერსონალური ინფორმაცია მათ შორის და არა მხოლოდ, ინფორმაცია კლიენტის პირადი ნომრის, სახელის, გვარის, იურიდიული მისამართის ან სხვა მაიდენტიფიცირებელი მონაცემების შესახებ;

3.3.2 სასამართლოს, არბიტრაჟს ან/და მესამე პირს (კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში) გადასცეს თავდების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია (მათ შორის თავდების საბანკო ანგარიშების, შესრულებული ოპერაციების, ანგარიშებზე არსებული ნაშთების, თავდების ვალდებულებების შესახებ მონაცემები) და თავდებთან გაფორმებული ნებისმიერი ხელშეკრულება;

3.3.3 ნებისმიერი საშუალებით გაავრცელოს ინფორმაცია თავდების მიერ მიკროსაფინანსო ორგანიზაციასთან დადებული ნებისმიერი ხელშეკრულების ნებისმიერი პირობის დარღვევის შესახებ;

3.3.4 კლიენტს, თავდებ(ებ)ს ან/და ნებისმიერ პირს, რომლის ქონებითაც უზრუნველყოფილია კლიენტის ან/და თავდების ვალდებულებ(ებ)ის შესრულება მიაწოდოს ინფორმაცია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიმართ თავდების ვალდებულებ(ებ)ის შესახებ.

3.4 თავდები მიკროსაფინანსო ორგანიზაციას ათავისუფლებს ამ ხელშეკრულების 3.3 პუნქტის საფუძველზე მიღებული/გაცემული ინფორმაციის საიდუმლოების დაცვის ვალდებულებისგან და აცხადებს უარს ზემოხსენებულ პუნქტში აღწერილი ინფორმაციის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ გამჟღავნებით ან მესამე პირისთვის გადაცემით მიყენებულ ზიანის ანაზღაურებაზე.

4. სხვა პირობები

4.1. ეს ხელშეკრულება ძალაში შევა მხარეთა მიერ მისი ხელმოწერის მომენტიდან და იმოქმედებს განუსაზღვრელი ვადით (მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ მისი მოქმედების შეწყვეტის წერილობით დადასტურებამდე).

4.2. თავდებს არ აქვს ამ ხელშეკრულების მოქმედების ცალმხრივად შეწყვეტის უფლება ამ ხელშეკრულებით და მის საფუძველზე გაფორმებული ყველა დოკუმენტით ნაკისრი უკლებლივ ყველა ვალდებულების მთლიანად შესრულებამდე.

4.3. იმ საკითხების მოწესრიგებისას, რომლებიც ამ ხელშეკრულებით არ არის გათვალისწინებული, მხარეები

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია _____ კონტრაპენტი: _____

ხელმძღვანელობენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

4.4. მხარეები თანხმდებიან, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ინტერნეტ-გვერდზე განთავსებულ და მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მონაცემთა ბაზებში (კომპიუტერულ პროგრამებში) დაცულ ინფორმაციას, ამ ინფორმაციის მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მიერ დამზადებულ ელექტრონულ ასლებსა და ამონაბეჭდებს, რომლებიც დამოწმებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დირექტორის ან მის მიერ უფლებამოსილი პირის ხელმოწერით, აქვთ მტკიცებულებითი ძალა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ურთიერთობებთან დაკავშირებული ფაქტების არსებობა-არარსებობის დადასტურების მიზნებისთვის.

4.5. ამ ხელშეკრულებას ენიჭება უპირატესი ძალა მხარეთა შორის ამ ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით ადრე გაფორმებულ სხვა ხელშეკრულებებთან წინააღმდეგობის შემთხვევაში.

4.6. ამ ხელშეკრულების რომელიმე ნაწილის ბათილობა და/ან მოქმედების შეწყვეტა არ იწვევს მთლიანად ხელშეკრულების ბათილობას ან მოქმედების შეწყვეტას.

4.7. თავდებს არ აქვს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი უფლების ან/და ვალდებულების მესამე პირისთვის გადაცემის უფლება მიკროსაფინანსო ორგანიზაციის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე.

4.8 ეს ხელშეკრულება შედგენილია თანაბარი იურიდიული ძალის მქონე სამ იდენტურ ეგზემპლარად, რომელთაგან ორი რჩება მიკროსაფინანსო ორგანიზაციაში ერთი გადაეცემა თავდებს.

5. დამატებითი პირობები

5.1. მხარეები თანხმდებიან, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მხრიდან საკრედიტო ხელშეკრულებების ვადამდე ცალმხრივად შეწყვეტის შემთხვევაში დავალიანების თანხის (კრედიტის დარჩენილი თანხა, დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო, აგრეთვე მიუღებელი შემოსავალი) დაფარვის ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია ხელშეკრულების შეწყვეტიდან 30 (ოცდაათი) დღის ვადის გასვლის შემდეგ დავალიანების თანხის მოთხოვნის უფლება დაუთმოს მესამე პირს (საინკასო ბიუროს) ან/და გადასცეს მესამე პირს (საინკასო ბიუროს) სამართავად დავალიანების თანხის გადახდევინების უზრუნველყოფა. მხარეები თანხმდებიან, რომ მიკროსაფინანსო ორგანიზაცია უფლებამოსილია ერთპიროვნულად ცალმხრივად შეარჩიოს საინკასო ბიურო დავალიანების თანხის გადახდევინების უზრუნველყოფის სამართავად და გასცეს მასზე ინფორმაცია კონტრაქტის შესახებ. საინკასო ბიურო შეიძლება იყოს საქართველოს რეზიდენტი ნებისმიერი საწარმო, რომლის საქმიანობის ერთ-ერთ სფეროს წარმოადგენს პრობლემური სესხის მართვა. კონტრაქტი უპირობოდ ცნობს მიკროსაფინანსო ორგანიზაციას მიერ შერჩეული საინკასო ბიუროს უფლებამოსილებას. საინკასო ბიურო მოქმედებს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დავალების საფუძველზე თავისი სახელითა და ხარჯით. მხარეები თანხმდებიან, რომ საინკასო ბიუროს მიერ დავალიანების თანხის გადახდევინების უზრუნველყოფის მართვის მიზნით გაწეული მომსახურების ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მსესხებელს და კონტრაქტს სოლიდარულად. მომსახურების ხარჯები არ შეიძლება აღემატებოდეს სასესხო დავალიანების თანხის 40%-ს. მიკროსაფინანსო ორგანიზაციის მხრიდან დავალიანების თანხის გადახდევინების უზრუნველყოფის საინკასო ბიუროსათვის სამართავად გადაცემის შემთხვევაში დავალიანების თანხის დაფარვისას პირველ რიგში დაიფარება საინკასო ბიუროს მომსახურების ხარჯი, შემდგომ სესხის ძირითადი თანხა, შემდგომ პროცენტი, შემდგომ საარბიტრაჟო ბაჟი, ბოლოს პირგასამტეხლო და მიუღებელი შემოსავალი (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

5.2. მხარეები თანხმდებიან, რომ მათ შორის წინამდებარე ხელშეკრულების ირგვლივ წამოჭრილი ის სადაო საკითხ(ებ)ი, რომელიც წარმოიშვა ან შეიძლება წარმოიშვას მხარეთა შორის სახელშეკრულებო ან სხვა სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარე, მათ შორის მხარეთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი დავა(დავები), მათ შორის ხელშეკრულების შესრულების, დარღვევის, შეწყვეტის, ან ბათილობის საკითხ(ებ)ი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ინიციატივით განსახილველად და

საბოლოოდ გადასაწყვეტად გადაეცემა არბიტრაჟს. მხარეები თანხმდებიან, რომ მხარეთა შორის დავას განიხილავს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება შპს. „დავების განმხილველი ცენტრი“ (მის: ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას გამზ. #71, მე-4 ბლოკი, პირველი სართული; საიდენტიფიკაციო ნომერი: 204547348; ვებ-გვერდი: www.drc-arbitration.ge) ან მისი უფლებამონაცვლე. მხარეები თანხმდებიან და ადგენენ საარბიტრაჟო წარმოების წესებს და პროცედურებს ქვემოთ ჩამოთვლილი პირობების (საარბიტრაჟო დათქმა-შეთანხმება) შესაბამისად. საარბიტრაჟო წარმოების წესები და პროცედურები განისაზღვრება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად, თუ წინამდებარე შეთანხმებით სხვა წესები და პროცედურები არ არის განსაზღვრული ან წინამდებარე შეთანხმება არ ადგენს მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულებისაგან განსხვავებულ ან/და დამატებით წესებს და პროცედურებს. ამასთან, გამოიყენება მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების ის რედაქცია, რომელიც მოქმედებს საარბიტრაჟო სარჩელის მიღების თარიღისათვის. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო დავ(ებ)ის განხილვის ადგილი არის

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია _____ კონტრაქტი: _____

ქალაქი თბილისი, არბიტრაჟი დავას გადაწყვეტს საქართველოს კანონმდებლობით მოქმედი სამართლის ნორმების შესაბამისად და საარბიტრაჟო განხილვა წარმოებს ქართულ ენაზე. მხარეები თანხმდებიან, რომ მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულება დავას განიხილავს ერთი არბიტრის შემადგენლობით. მხარეები თანხმდებიან, რომ არბიტრის დანიშვნის უფლება გააჩნია თავად მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას, მისივე დებულების შესაბამისად, იმ პირობით რომ დანიშნული არბიტრი სავალდებულოდ უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე, უმაღლესი იურიდიული განათლების მქონე პირი, 2 (ორი) წლის გამოცდილებით საბანკო სფეროში. მხარეები თანხმდებიან, რომ თუ დავის საგნის ღირებულება არ აღემატება 15 000 (თხუთმეტი ათასი) ლარს ან მის ექვივალენტს სხვა ვალუტაში, საარბიტრაჟო სარჩელის წარდგენის თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად სხვა ვალუტაში, არბიტრაჟი დავას განიხილავს მხარეთა ზეპირი მოსმენის გარეშე (საარბიტრაჟო განხილვის ფორმა) მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების დებულების შესაბამისად. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო განხილვის დაწყებამდე ან განხილვის ნებისმიერ სტადიაზე, საბოლოო საარბიტრაჟო გადაწყვეტილების გამოტანამდე, მხარეს შეუძლია შუამდგომლობით მიმართოს მუდმივმოქმედ საარბიტრაჟო დაწესებულებას, ხოლო არბიტრაჟის ფორმირების შემდეგ – არბიტრაჟს, საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებების გამოყენების შესახებ. მუდმივმოქმედი საარბიტრაჟო დაწესებულების (ან არბიტრაჟის) მიერ გამოყენებულ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს აქვთ სავალდებულო ძალა და იგი უნდა აღსრულდეს არბიტრაჟის მიერ გაცემული სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება(ებ)ს აქვს (აქვთ) სავალდებულო იურიდიული ძალა მხარის მიერ მის ცნობისა და აღსრულებისათვის სასამართლოსათვის მიმართვის გარეშე. მხარეები თანხმდებიან, რომ საარბიტრაჟო გადაწყვეტილება ძალაში შედის მისი გამოტანის მომენტიდან და არ არის აუცილებელი შეიცავდეს სამოტივაციო ნაწილს.

5.3. წინამდებარე ხელშეკრულების ხელმოწერით, მხარეები ასევე თანხმდებიან, რომ:

5.3.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე და მასთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით ურთიერთობა, მათ შორის შეტყობინება ან/და სხვა სახის ოფიციალური კომუნიკაცია, მათ შორის, მაგრამ არამარტო კომუნიკაცია ერთმანეთს, მათსა და სასამართლოს, ან/და მათსა და საარბიტრაჟო დაწესებულებას შორის, წარმოებს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის (ელ. ფოსტის) საშუალებით, თუ ეს ხელშეკრულება, კონკრეტული შემთხვევებისთვის არ აღგენს კომუნიკაციის განსხვავებულ წესს.

5.3.2. მხარეთა შორის წერილობითი კომუნიკაციის დროს, ადრესატი მხარისათვის გზავნილი (წერილობითი შეტყობინება) შესაძლოა გაიგზავნოს გამგზავნი მხარის მიერ პირადად, კურიერის ან საფოსტო გზავნილის მეშვეობით. ასეთი გზავნილი ჩაბარებულად ითვლება ადრესატი მხარის მიერ გზავნილის ფაქტობრივად ჩაბარების მომენტიში, რაზედაც შედგება შესაბამისი მიღება-ჩაბარების, ან შესაბამისი ფორმის საფოსტო აქტი. ამასთან, ადრესატის მიერ გზავნილის ჩაბარებაზე უარის თქმის შემთხვევაში, მიზეზი აღინიშნება შესაბამისი აქტში, მაგრამ მიუხედავად ასეთი უარისა, გზავნილი ადრესატისთვის ჩაბარებულად ითვლება.

5.3.3. მხარეთა შორის ელექტრონული ფოსტის მეშვეობით კომუნიკაციის დროს, ადრესატი მხარისათვის გზავნილი ჩაბარებულად ითვლება შესაბამის ელექტრონული ფოსტის მისამართზე წერილის გაგზავნის დღესვე იმ პირობით, რომ გამგზავნს არ უზრუნდება ავტომატური შეტყობინება ელექტრონული გზავნილის განხორციელების შეუძლებლობის შესახებ. მხარეები აქვე აცხადებენ, რომ გამოიჩინენ მაქსიმალურ წინდახედულობას და პერიოდულად, მაგრამ მინიმუმ ორ კვირაში ერთხელ შეამოწმებენ მათი ელ. ფოსტის პროგრამას, მათო შორის, ე.წ „სკამის“ ფაილს („ფოლდერს“), რათა დარწმუნდნენ, რომ მათივე ინტერესების მიზნებისთვის, იცნობენ მათთვის ამ გზით ჩაბარებული ნებისმიერი კორესპონდენციის შინაარსს.

5.3.4. დამატებით, ადრესატი მხარისათვის ელ. ფოსტის მეშვეობით გაგზავნილი შეტყობინების ჩაბარების დასადასტურებლად, შესაძლოა გამოყენებულ იქნას შესაბამისი ტექნიკური საშუალების ამონაწერი ან/და შესაბამისი ტექნიკური საშუალებით მოწოდებული დადასტურება.

5.3.5. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი ოფიციალური შეტყობინება, მათ შორის, მაგრამ არამარტო, ხელშეკრულებაზე უარის თქმის, ხელშეკრულების მოშლის, ხელშეკრულების შეწყვეტის, ვალდებულების შესრულების მოთხოვნის ან/და ვალდებულების შესრულებისათვის დამატებითი ვადის განსაზღვრის, აგრეთვე, საპროცენტო განაკვეთის გამსესხებლის მიერ ცალმხრივად გაზრდის შესახებ განხორციელებულად ჩაითვლება, წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის ცხრილში განსაზღვრულ ფაქტობრივი და ელ-ფოსტის მიკროსაფინანსო ორგანიზაცია _____ კონტრაჰენტი: _____

მისამართზე ადრესატისთვის გზავნილის ამ ხელშეკრულების 5.3.2 და 5.3.3 ქვეპუნქტებით განსაზღვრული წესით ჩაბარების შემთხვევაში.

5.3.6. მხარეები აცხადებენ თანხმობას, რომ სასამართლომ ან არბიტრაჟმა (არბიტრმა) მათი სხდომაზე დაბარება, მათთვის უწყების ჩაბარება, სასამართლო ან საარბიტრაჟო საქმის წარმოების დოკუმენტაციების გადაცემა, გადაწყვეტილების (განჩინების) / გადახდის ბრძანების/ საარბიტრაჟო გადაწყვეტილების ჩაბარება - შესაძლოა განახორციელოს წერილობით ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, წინამდებარე ხელშეკრულების პირველი მუხლის ცხრილში განსაზღვრულ მისამართებზე.

5.4. მხარეები აცხადებენ, რომ თავდები გაეცნო მის მიერ უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულების მნიშვნელოვან პირობებს/თავსართს და მისთვის ნათელია/ცხადია მასში გათვალისწინებული ყველა ფინანსური და სამართლებრივი პირობა.

5.5. თავდები კისრულობს ვალდებულებას, რომ მის მიერ ამ ხელშეკრულებაში მითითებული ფაქტობრივი ან/და რეგისტრირებული მისამართის ცვლილებისთანავე, დაუყოვნებლივ, წერილობითი ფორმით აცნობებს გამსესხებელს. იმ შემთხვევაში თუ მის მიერ არ მოხდება ამ ვალდებულების შესრულება, გამსესხებლის მიერ ამ ხელშეკრულებაში მითითებულ თავდების მისამართზე შეტყობინების გაგზავნა ჩაბარებულად ჩაითვლება მისი გაგზავნის მომენტიდან.

იმ შემთხვევაში, თუ გადაწყვეტთ სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი“-ში ამა თუ იმ ფორმით თანხის განთავსებას, გთხოვთ, გაეცნოთ ქვემოთ მოცემულ გაფრთხილების ტექსტს და გაითვალისწინოთ: სს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია მაიკრო ფინი" (ს/ნ: 405072040) არ არის ლიცენზირებული ბანკი და ბანკისგან განსხვავებით მასზე ვრცელდება მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმი. მისი გაკოტრების შემთხვევაში, თქვენ შესაძლოა ვერ დაიბრუნოთ თქვენი თანხა.